ამონაწერი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 8 სექტემბრის

ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი დ ა ნ

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, ციცინო ცხვედიანი, ზურა როსტიაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ნათია კორკოტაძე; მარიამ კუბლაშვილი (Webex პლატფორმით - დისტანციურად).

საკითხი 6. 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრ ადვოკატთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე საკითხის განხილვა

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დღევანდელი მდგომარეობით 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა შეადგენს -1530 ადვოკატს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით,

ასოციაციამ წევრებს მისცა 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების შესაძლებლობა, რომლითაც ჯამში ისარგებლა 310 - მა ადვოკატმა. აღნიშნულ 1530 ადვოკატს არ მოუმართავს საწევროს გადახდის გადავადების მოთხოვნით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტით დადგენილი საწევროს გადახდის წესის თანახმად, 2020 წლის საწევროს გადახდის ვადა ამოიწურა 8 თვის წინ და ამ ეტაპზე, მიზანშეწონილია, საწევრო დავალიანების მქონე წევრების მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე, მოხდეს მათი ინფორმირება საწევრო დავალიანების გადახდის თაობაზე, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სავარაუდო თარიღად მან წევრებს შესთავაზა 2020 წლის 3 ნოემბერი.

მსჯელობის შედეგად აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სავარაუდო თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 3 ნოემბრი.

(ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ დავალიანების მქონე წევრებს ეცნობოთ ასოციაციის ვებგვერდისა და Facebook გვერდით, ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით გზით.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე